# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №123

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „29“ „ოქტომბერი“ 2015 წ.

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

## 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

**ერთის მხრივ,** დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის სახით, ს/კ. 228542413, მისამართი ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. №44 (შემდგომში „შემსყიდველი“) და

**მეორეს მხრივ,** შპს „ნიუმშენი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ მაზიაშვილის სახით. მისამართი: ქ. თბილისი, ზაზიშვილის ქ. №1, საიდენტიფიკაციო კოდი 401944134. მომსახურე ბანკი: „პროკრედიტ ბანკი“, ბანკის კოდი MIBGGE22, ანგარიში №GE96PC0303600100014736.

## 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თანდართული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის 4 ფურცლად) შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოების (CPV - 45232150) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივნისის №50 განკარგულების შესაბამისად).

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 11540 (თერთმეტიათასხუთასორმოცი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4.2 შესასრულებელი სამუშაოს ერთეულის ღირებულებები მოცემულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის 4 ფურცლად).

4.3 სამუშაო შესრულებული იქნება შემდეგ მისამართზე:
ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებულ მისამართებზე.

## 5. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. იგი პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და ვარგისიანობაზე. სამუშაოს შესრულებისას მიმწოდებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას შესრულებული სამუშაოს ღირებულება გადაურიცხოს მიმწოდებელს სამუშაოთა დასრულების, შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

## 6. სამუშაოს მიღება – ჩაბარების წესი

სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება სამუშაოთა დასრულებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი დავით ფხოველიშვილი, ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი თამაზ ალუღიშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ზემო მაჩხაანის ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი იაკობიშვილი.

## 8. შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება სამუშაოს ჩაბარებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოთა დასრულების, შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი სამუშაოს ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის - 398 -ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10 % -ს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით `გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულებების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული

იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1 % -ის ოდენობით.
15.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებიმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 29 ოქტომბრიდან – 2017 წლის 31 დეკემბრამდე.
18.2 მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულების ვადაა 2015 წლის 29 ოქტომბრიდან – 2015 წლის 28 ნოემბრამდე.
18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

| | |
|---|---|
| შემსყიდველი ორგანიზაცია: | მიმწოდებელი: |
| დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი | შ.პ.ს. „ნიუმშენი" |
| გამგებელი | დირექტორი |
| ნიკოლოზ ჯანიაშვილი | არჩილ მაზიაშვილი |
| (ბ.ა.) | (ბ.ა.) |

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანში ცენტრალურ და ჯამასპიან უბანში შიდა წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოების ლოკალური ხარჯთაღრიცხვა

| № | საფუძველი | სამუშაოს დასახელება | განზ. | რაოდენობა | | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ნორმით | სულ | ერთ. ფასი | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| | | მიწის სამუშაოები | | | | | | | | | | |
| 1 | 1-23-6 | III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით თხრილში 0.4*0.7 h | მ3 | | 232.15 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 0.0340 | 7.89 | | | 4.60 | 36.31 | | 0.00 | 36.31 |
| | | ექსკავატორი 0,25 კბ.მ | მ/ს | 0.0803 | 18.64 | | | | | 20.72 | 386.25 | 386.25 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 0.0056 | 1.30 | | | | | 3.20 | 4.16 | 4.16 |
| 2 | 1--80-3 | III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით | მ3 | | 16.80 | | | | | | | |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 2.0600 | 34.61 | | | 4.60 | 159.20 | | 0.00 | 159.20 |
| 3 | ს.რ.ფ | ზედმეტი გრუნტის გატანა ავტოთვითმცლელით 3 კმ. | მ3 | | 44.28 | 0.00 | 0.00 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | ავტოთვითმცლელი | ტ | 1.94 | 85.90 | | | | | 2.24 | 192.42 | 192.42 |
| 4 | | ქვიშის ბალიშის მოწყობა | მ3 | | 44.28 | | 0.00 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 0.8960 | 39.67 | | 0.00 | 4.60 | 182.50 | | 0.00 | 182.50 |
| | | ქვიშა | მ3 | 1.0200 | 45.17 | 21.50 | 971.06 | | 0.00 | 10.34 | 466.83 | 1437.89 |
| 5 | 22--8-4 | პლასტმასის მილის მოწყობა PE100 pn10 d=110 მმ | გრძ/მ | | 185.70 | | 0.00 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 0.1700 | 31.57 | | 0.00 | 6.00 | 189.41 | | 0.00 | 189.41 |
| | | მანქანები | ლარი | 0.0815 | 3.61 | | 0.00 | | 0.00 | 3.20 | 11.55 | 11.55 |
| | | პლასტმასის მილი PE100 pn10 d=110 მმ | გრძ/მ | 1.0100 | 187.56 | 8.20 | 1537.97 | | 0.00 | | 0.00 | 1537.97 |
| | | ელქტრო 110 მმ | ცალი | პროექ. | 18.00 | 18.00 | 324.00 | | 0.00 | | 0.00 | 324.00 |
| | | სხვა მასალები | ლარი | 0.0035 | 0.65 | 10.00 | 6.46 | | 0.00 | | 0.00 | 6.46 |
| 6 | 22--8-1 | პლასტმასის მილის მოწყობა PE100 pn10 d=40*3მმ | გრძ/მ | | 144.10 | | 0.00 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 0.0959 | 13.82 | | 0.00 | 6.00 | 82.92 | | 0.00 | 82.92 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მანქანები | ლარი | 0.0452 | 8.48 | | 0.00 | | 0.00 | 3.20 | 27.13 | 27.13 |
| | | პლასტმასის მილი PE100 pn10 d=40 მმ | გრძ/მ | 1.0100 | 145.54 | 2.50 | 363.85 | | 0.00 | | 0.00 | 363.85 |
| | | სხვა მასალები | ლარი | 0.0006 | 0.09 | 10.00 | 0.86 | | 0.00 | | 0.00 | 0.86 |
| 5 | 22--8-1 | პლასტმასის მილის მოწყობა PE100 pn10 d=50*388 | გრძ/მ | | 460.80 | | 0.00 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/ს | 0.0959 | 44.19 | | 0.00 | 6.00 | 265.14 | | 0.00 | 265.14 |
| | | მანქანები | ლარი | 0.0452 | 0.38 | | 0.00 | | 0.00 | 3.20 | 1.23 | 1.23 |
| | | პლასტმასის მილი PE100 pn10 d=40 მმ | გრძ/მ | 1.0100 | 465.41 | 3.00 | 1396.22 | | 0.00 | | 0.00 | 1396.22 |
| | | სხვა მასალები | ლარი | 0.0006 | 0.28 | 10.00 | 2.76 | | 0.00 | | 0.00 | 2.76 |
| 7 | 22--8-1 | პლასტმასის მილის მოწყობა PE100 pn16 d=20 მმ | გრძ/მ | | 98.50 | | 0.00 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | შრომითი რესურსები | კაც/ს | 0.0959 | 9.45 | | 0.00 | 6.00 | 56.68 | | 0.00 | 56.68 |
| | | მანქანები | ლარი | 0.0452 | 6.58 | | 0.00 | | 0.00 | 3.20 | 21.05 | 21.05 |
| | | პლასტმასის მილი PE100 pn16 d=20 მმ | გრძ/მ | 1.0100 | 99.49 | 0.80 | 79.59 | | 0.00 | | 0.00 | 79.59 |
| | | სხვა მასალები | ლარი | 0.0006 | 0.06 | 10.00 | 0.59 | | 0.00 | | 0.00 | 0.59 |
| 8 | საბაზრო | რკინაბეტონის ჭის მოწყობა სახურავით და თუჯის ხუფით 1000*1000 | ც | პროექ. | 1.00 | 510.00 | 510.00 | 50.00 | 50.00 | 110.00 | 110.00 | 670.00 |
| 10 | საბაზრო | უნაგირი 110*40 | ცალი | პროექ. | 5.00 | 15.00 | 75.00 | 10.00 | 50.00 | | 0.00 | 125.00 |
| 10 | საბაზრო | უნაგირი 110*25 | ცალი | პროექ. | 5.00 | 13.00 | 65.00 | 10.00 | 50.00 | | 0.00 | 115.00 |
| 10 | საბაზრო | უნაგირი 110*50 | ცალი | პროექ. | 5.00 | 17.00 | 85.00 | 10.00 | 50.00 | | 0.00 | 135.00 |
| 11 | საბაზრო | სამკაპი 40X20მმ | ცალი | პროექ. | 4.00 | 2.00 | 8.00 | 1.00 | 4.00 | | 0.00 | 12.00 |
| 13 | საბაზრო | ურდული 100 მმ | ცალი | პროექ. | 1.00 | 60.00 | 60.00 | 20.00 | 20.00 | | 0.00 | 80.00 |
| 14 | საბაზრო | მილტუჩი 100 მმ | ცალი | პროექ. | 1.00 | 18.00 | 18.00 | 10.00 | 10.00 | | 0.00 | 28.00 |
| 15 | საბაზრო | ადაპტორი 110 მმ | ცალი | პროექ. | 1.00 | 15.00 | 15.00 | 10.00 | 10.00 | | 0.00 | 25.00 |
| | | ჯამი | | | | | 5519.38 | | 1216.16 | | 1220.62 | 7956.15 |
| | | სატრანსპორტო ხარჯი მასალაზე | 5% | | | | 275.97 | | | | | 275.97 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 8232.12 |
| | | ზედნადები ხარჯი | 10% | | | | | | | | | 823.21 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 9055.34 |
| | | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | | 724.43 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 9779.76 |
| | | დღგ | 18% | | | | | | | | | 1760.36 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 11540.12 |

შ.პ.ს. „აპრისი-4"-ის დირექტორი:
ნ.ოზაშვილი

სასმელი წყალსადენის
გრძივი ჭრილი **S-02**



სასმელი წყალსადენის
განივი ჭრილი **S-02**



ფორმატი A4

ექსპლიკაცია

პირობითი ნიშნები

შენიშვნები:

| | |
|---|---|
| შემკვეთი | წყლის მომსმარებელი |
| ობიექტი | [illegible] |
| პროექტის საფუძველი | [illegible] |
| შეასრულა | [illegible] |
| შეამოწმა | [illegible] |
| ავტორი | [illegible] |
| დამტკიცდა | [illegible] |

"Abrisi - 4"

ტელ: 593-34-96-52

| | |
|---|---|
| ნახაზი: | [illegible] |
| მასშტაბი | 1:100 |
| თარიღი | |
| ფურცელი | № |




ფორმატი 4 ფურცლის №

# ექსპლიკაცია

## პირობითი ნიშნები

- საპროექტო წყალსადენის მილი 110მმ
- საპროექტო წყალსადენის მილი 40მმ
- საპროექტო წყალსადენის მილი 50მმ
- საპროექტო წყალსადენის მილი 20მმ
- არსებული წყალსადენის მილი
- საკადასტრო საზღვარი
- გზა
- არსებული ჭა
- საპროექტო ჭა
- კოვერი
- დაერთება არსებულ მილზე

დამკვეთი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი

მისამართი
სოფელი ზემო მაჩხაანი

პროექტის სახელწოდება
შიდა წყალმომარაგების ქსელის მოწყობა

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
|---|---|---|---|
| დირექტორი | ნ.რუხაძე | | |
| არქიტექტორი | [illegible] | | |
| ავტორი | [illegible] | | |
| დაამუშავა | [illegible] | | |

მისამართი
დედოფლისწყარო
სტალინის ქ.№83 კორპ.49
ტელ: 593 34-96-52

| | | |
|---|---|---|
| მასშტაბი | 1:2,000 | ნახაზი |
| თარიღი | 2015 | |
| | გეგმა | სიტუაციური გეგმა |

| სტადია | ფურცელი | ფურცლები |
|---|---|---|
| პროექტი | ფ-1 | |

ქ. დედოფლისწყარო

29 ივნისი 2015 წელი

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება № 50

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სამუშაოების და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის , მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011 წლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის 25.06.2015 წლის №777 წერილის საფუძველზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**1.** მიეცეს თანხმობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს, ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული შემდეგი სამუშაოებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საშუალებად გამოიყენოს გამარტივებული შესყიდვა საერთო ღირებულებით არაუმეტეს 21000 (ოცდაერთი ათასი) ლარის ოდენობით:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის შიდა წყალმომარაგების ქსელის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვა;
2. ქალაქ დედოფლისწყაროში ჰერეთის ქ. №2ა-ში მდებარე №12 და №47 კორპუსების გარე კანალიზაციის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
3. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანისა და სოფელ არბოშიკის დამაკავშირებელი გზის სახიფათო მონაკვეთებზე ლითონის თვალამრიდი ძელების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა.

**2.** განკარგულება ამოქმედდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა. შემოს. № 640
02 07 2015

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. №15) საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გოჩა სამუკაშვილი